საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №200
2016 წლის 22 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №117 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №117 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge) 13.07.2012 წ., 040030000.22.027.016329) დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის „ჰ^{22}“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ლიკვიდირებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წალკის სამოქალაქო რეესტრის სამსახური და მის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს ამავე სააგენტოს ნინოწმინდის სამოქალაქო რეესტრის სამსახური.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 26 დეკემბრიდან.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **თეა წულუკიანი**